ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №195

ქ. ბათუმი 21 აგვისტო, 2017 წელი

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ჯემალ ანანიძის სახით და მეორე მხრივ შპს „ემ ჯი ემ" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მამუკა მიქენაიას სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადების №NAT170008567) ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, ასევე, ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ გაგზავნილი წერილობითი შეტყობინება, რომელიც ცვლის მხარეთა შორის ადრე შეთანხმებულ და წერილობითი სახით ხელმოწერილი დოკუმენტის პირობებს და რომელზეც წერილობითი თანხმობა აქვს გამოთქმული ხელშეკრულების მეორე მხარეს.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე. ვადების გამოთვლა მოხდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი

2.1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი - ბეჭდვითი მომსახურება (CPV) კოდი - 79800000

2.2. შესყიდვის ობიექტის აღწერა, ოდენობა, ერთეულის ფასი, მოცემულია დანართ №1-ში (ფასების ცხრილი), რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი.

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 6720 (ექვსიათას შვიდას ოცი) ლარს.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

3.2. საქონლის ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3.3. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

3.4. ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ განხორციელდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) დღის განმავლობაში საკუთარი შემოსავლების ფარგლებში.

3.5. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

4. ხელშეკრულების ინსპექტირების (კონტროლის) პირობები

4.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს, წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება-ჩაბარების მიზნით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას და ხელშეკრულების პირობების შესრულების ზედამხედველობას განახორციელებს ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი მარინე გიორგაძე. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და ნებისმიერ დროს ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით მიანიჭოს შემსყიდველის სხვა თანამშრომელს ან/და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ნებისმიერ სხვა პირს. შემსყიდველის ასეთი გადაწყვეტილება არ საჭიროებს მიმწოდებლის არც წინასწარ და არც შემდგომ თანხმობას და იგი ძალაში შედის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით ან შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილი წესით;

4.2. ხელშეკრულების შესრულების შემსყიდველის მხრიდან კონტროლის, მოწოდებული საქონლის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება–ჩაბარების მიზნით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და ხელშეკრულების ინსპექტირების განხორციელების უფლებამოსილების 4.1. პუნქტის შესაბამისად შესაბამის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით ან შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირზე მინიჭების შემდეგ ასეთი უფლებამოსილების მინიჭებამდე მოწოდებული საქონლის კონტროლისა და ხელშეკრულების ინსპექტირების განხორციელების შედეგები და გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

4.3. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ფინანსური და მატერიალურ–ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს მონოგრაფიის ელექტრონული ვერსიის გადაცემიდან არაუგვიანეს 20 დღეში.

5.2. მიწოდების ადგილია ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ. №35.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება - ჩაბარება განხორციელდება მიღება - ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველის“ და ,,მიმწოდებელის” მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება საქონლის მიწოდების ადგილზე.

6.3. შესყიდვის ობიექტის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7. შეტყობინების წესი

7.1. შეტყობინება ხელმოწერილი უნდა იყოს გამგზავნი მხარის მიერ ან მისი სახელით, გაეგზავნოს მხარეს, რომელიც არის მისი ადრესატი და მიეწოდოს ამ მხარეს მისამართზე, რომელიც მითითებულია 7.2 პუნქტში, ან უკანასკნელ მისამართზე, რომელიც მხარემ შეტყობინების მეშვეობით განსაზღვრა შეტყობინებებისთვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად. მხარისთვის გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება უნდა იყოს ქართულ ენაზე ან თან ახლავდეს ქართული თარგმანი.

7.2. შეტყობინების მისამართი და შეტყობინების დრო:

შეტყობინება უნდა გადაეცეს ხელიდან ხელში, გაიგზავნოს ფაქსით ან ფოსტის მეშვეობით, და წინამდებარე ხელშეკრულების და ყველა სხვა მიზნისთვის იგი ჩაითვლება მიწოდებულად (ჩაბარებულად):

(ა) ხელიდან ხელში გადაცემისას: როდესაც ის პირადად მიეწოდება მხარეს ქვემოთ მოცემულ მისამართზე (მათ შორის ელექტრონულ მისამართზე) ან უკანასკნელ მისამართზე, რომელიც მხარემ შეტყობინების მეშვეობით განსაზღვრა შეტყობინებებისთვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
მის: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35 E-Mail: shesyidvebi@bsu.edu.ge ტელ: (0422) 27 87 62	ქ. ზუგდიდი, ჩარგაზიას 18 Mgmreklama1@gmail.com 593202204

(ბ) კურიერული ფოსტა: თუ გაიგზავნა ფოსტის მეშვეობით 7.2. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მისამართზე, რაც დასტურდება კურიერის მიწოდების დასტურის ჩანაწერებში.

– შეტყობინებები, რომლებიც მიღებულია უქმე დღეს ან სამუშაო დღის 17.00 საათის შემდეგ, ჩაითვლებიან მიღებულად შემდეგ სამუშაო დღეს.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ თავის ვალდებულებებს ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

8.2. შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს შეუწყვიტოს ხელშეკრულების შესრულება წერილობითი ფორმით შეტყობინების შემდეგ მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების ან მისი ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში თუ:

ა) მიმწოდებელმა არ მიაწოდა საქონელი ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში.

ბ) თუ მიმწოდებელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა თავისი ვალდებულებები.

8.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0.02 %-ის ოდენობით.

8.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი) %-ის ოდენობით.

8.5. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 1 (ერთი) %-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.6. წინამდებარე ხელშეკრულების 8.3. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.5. მხარეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე აშკარად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნას.

9.6. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა.

9.7. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.8. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

10. ფორს-მაჟორული სიტუაციები

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორული გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.3. მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთან მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შე-თანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დად-გენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

12. გადასახადები და ბაჟები

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების დადებიდან 2017 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით.

14. სხვა პირობები

14.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

14.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ის პუნქტები, რომელიც ხელშეკრულების რომელიმე მხარეს ანიჭებს რაიმე უფლებას, ასეთი უფლების გამოყენება არ წარმოშობს ხელშეკრულების მეორე მხარის რაიმე ვალდებულებას, თუ წინამდებარე ხელშეკრულება პირდაპირ არ აწესებს ასეთზე ხელშეკრულების მხარის ვალდებულებას,

---
შემსყიდველი

მიმწოდებელი

გარდა ხელშეკრულების მხარის ვალდებულებისა, რომ მან პატივსადები მიზეზების არსებობის გარდა ხელი არ შეუშალოს ხელშეკრულების მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით მინიჭებული უფლების გამოყენებას.

14.3. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები მოცემულია მთლიანად ხელშეკრულებაში და სადაოობისას ხელშეკრულების რომელიმე მხარეს უფლება არ აქვს მხარეთა უფლებების ან/და მოვალეობების განსაზღვრისას მიუთითოს მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების იმ პუნქტს, რომელიც ითვალისწინებს ხელშეკრულების მხარეთა ვალდებულებებს.

14.4. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ არის წინამდებარე ხელშეკრულებით, წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით, რაც ნიშნავს, რომ სადაოობისას არცერთ მხარეს უფლება არ აქვს მიუთითოს, რომ მისთვის ცნობილი არ იყო ხსენებული სამართლებრივი აქტების ან მისი ცალკეული ნორმისა თუ დებულების თაობაზე.

14.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებლს, ხოლო ორი ეგზემპლარი - შემსყიდველს). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი˜ ს.ნ. 245 428 158 ბ/კ: TRESGE22 მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში	შპს „ემ ჯი ემ“ ს.კ. 420 001 170 ს.ს. „პროკრედიტბანკი: ბანკის კოდი: MIBGGE22 ანგ. № GE58PC0443600100006577
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	დირექტორი
ჯემალ ანანიძე	**მამუკა მიქენაია**

შემსყიდველი

მიმწოდებელი

<u>დანართი №1</u>

ფასების ცხრილი

№	დასახელება	სპეციფიკაცია	განზომილების ერთეული, რაოდენობა		ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	2	3	4	5	6	7
1	წიგნის ბეჭდვა	• ფორმატი: A-4 (21×29,7 სმ); • გვერდების რაოდენობა: სულ 624 გვ. მათ შორის 528 გვ. შავ–თეთრი, 96 გვ. ფერადი ჩანართები; • შიგთავსი: 624 გვ. 70 გრ. ოფსეტური ქაღალდი, თეთრი ფერის, შავ–თეთრი ბეჭდვა. ოფსეტური CTP ფირებით 96 გვ. ფერადი ჩანართი (ფოტოები და ტაბულები), 115 გრ. ცარცის ქაღალდზე; • ყდა: მაგარი მუყაო (2,5 გრ.), ფერადი, გლუვი ლამინაცია 4+0; • კინძვა: ძაფზე შეკერვა; • კორექტურა; დაკაბადონება, ფოტოების დამუშავება; • საბიბლიოთეკო ნომრის -UDC (უაკ) - მინიჭება; • ISBN-ის (წიგნის საერთაშორისო საიდენტიფიკაციო კოდი) მინიჭება.	ცალი	160	42	6720
	სულ: ექვსი ათას შვიდას ოცი				**6720**	

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ინფორმაცია
ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 21 აგვისტო, 2017 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ სსიპ ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი"-ს მიერ წიგნის ბეჭდვის სახელმწიფო შესყიდვის (სატენდერო განცხადება NAT170008567) განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი მ. გიორგაძე